წელიწადი მეცხრე.—№ 435

პარასკევი, 9 აგვისტოს 1874

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მ.ნ., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში

ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:

Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## განცხადება

მთავრობის ნებითა პირველს მომავალს სეკტემბერს გაიხსნება ქალაქ ტფილისში საზოგადო შეკრებილება ტფილისის თავად-აზნაურთ ბანკის საქმეზედ, ამოსარჩევლად პირთა სხვა და სხვა თანამდებობაში.

ვაცნობებ ამაზედ ტფილისის გუბერნიის თავადთ და აზნაურთ, ამასაც დაუმატებ, რომ საზოგადო შეკრებილებაში ექნებათ მონაწილეობა მხოლოდ იმათ, რომელთაც შემოუტანიათ ანუ შემოიტანენ თავიანთ მხვედრს ფულსა ბანკის სასარგებლოდ.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღომლის თანამდებობის აღმასრულებელი კნ. დ. სუმბათოვი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას —საქართველო: თფილისი, 9 აგვისტოს 1874 წ.—წვრილი ამბები—ამბები უვირილიდგან—„დროების“ კორრესპონდენცია: ლარიხევიდგან—უვირილიდგან—რუსეთი: ახალი კანონი საიდუმლო საზოგადოებათათვის—თანამედროვე სურათი—განცხადება საყმაწვილო ბაღზედ და პირველ დაწყებითს შკოლაზედ.

ფელტონი: თფილისიდგან კავთისხევს, სტატია N-ისა.

# საქართველო

თფილისი, 9 აგვისტოს 1874 წ.

ახლად დაარსებულმა ოძისის ბანკმა ცოტა არ იყოს გამოაღვიძა სოფლის საზოგადობანი. ოძისის ბანკს დღეს საკმაო თავნი აქვს და გლეხობა დიდ ძალ იმედს სდებს ამ დაწესებულებაზედ. ახლო-მახლო სოფლებში, სადაც კი შეუტყვიათ ოძისის ბანკის დაფუძნება, ყველგან დიდი სურვილია, რომ ამ ნაირი ბანკები გამართონ. მაგრამ, თუ ეს საქმე დაყოვნებულა და ოძისის გონიერ მოქმედებას ჯერ წამბაძველი ვერ უშოვნია თიონეთის საზოგადოებას გარდა—ეს იმის ბრალია, რომ გლეხობაში კაცი არ არის, რომელსაც შეეძლოს ამ საქმის ხეირიანათ დადგენა.

რა საჭიროა ვილაპარაკოთ იმაზედ, რამოდენათ სასარგებლო იქნებოდა ხალხისთვის მზგავსი ბანკები... მარტო ის გარემოება, რომ გლეხი დაიხსნიდა თავს თოსოძხის ვაჭრისაგან, სპეკულატორებისა და ექსპლოატატორების ბრჩხილებისაგან, საკმაოა, რომ ყოველმა წესიერმა კაცმა მოკიდოს ხელი ამ საქმეს და აჩვენოს გლეხებს, თუ რანაირათ შეიძლება მსგავსი საზოგადოების და დაწესებულების შედგენა. აქ ბევრი ცოდნა, და მეცნიერება სრულიად საჭირო არ არის, მაგრამ ამასაც რომ არ მეტულობს ჩვენი განათლებული (?) ახალგაზდობა თავის ხალხისთვის, ეს არის ასაღელვებელი და საკიცხავი!...

მოსამსახურე ყმაწვილებზედ დღეს ჩვენ არას ვიტყვით. ამ წრის იმედი ჩვენ არ გვქონია არც წინათ და არც მერმე; მაგრამ რა უნდა ვსთქვათ იმათზედ, რომელნიც აქა-იქ თავისთვის უქაყოფოთ მიმალულან? რატომ ასე გულ-გრილათ უყურებენ იგინი ხალხის გაჭირვებას? იქათ მაინც რამ დაუბნელა გონება, რამ მოუსპო სულის ძლიერება და გრძნობის პატიოსნება?!...

ჩვენ კარგათ გვახსოვს ეხლაც, როგორის ალტაცებით, როგორის უანგაროებით და თავგანწირულებით ემზადებოდნენ ბევრნი ჩვენი ახალგაზდათაგანი ქვეყნის საერთგულოდ. მაშინ ხალხის სამსახური, ხალხის სიამოვნებით სიამოვნება და მისი მწუხარებით ტანჯვა—პირველი და უწმინდესი განზრახვა იყო ამ ახალგაზდობისა. ყველა ფიქრი, ყველა მეცადინეობა, ყოველი ძალა სამშობლოს აღმაღლებას უნდა მოვანდომოთო, აღიარებდენ ოდესმე ეს საპატიოები. მაგრამ მის ნაცვლად რას ვხედავთ ჩვენ დღეს?!..

საუბედუროთ ერთობ სამწუხარო და უნუგეშო სურათს. ჩვენ დაგვრჩა ხელში ისევ ის ჩვენი მამებისა და პაპების ტიპი, მხოლოდ სერტუკ გადაცმული ტანზედ....

ალთქმანი და ლტოლვილებანი კარგა ხანია განქრნენ, ისინი ვერ სცნობენ ქვეყანას და ქვეყანა მათ! ხალხის ბედისა და საჭიროების მაგიერათ, ამ განათლებულ (?) კაცებს სხვა ათას ნაირი საინტერესო და საზრუნველი პირადი საქმეები გასჩენიათ, და ერთ დღეს რომ გამოხვიდეთ მოედანზედ და დაიძახოთ „ვინ-ხარ-მამაცი“, საეჭვოა, რომ ორიოდე თანამგრძნობელი იშოვნოთ.

ამ ნაირ მდგომარეობაში მყოფი ხალხი ჭეშმარიტად რომ უბედურათ ჩაითვლება, და ჩვენ ყოველი ამისთანა მაგალითების შემდეგ თითქოს იმედი და სასოება გვეკარგება მომავალზედ. მაგრამ ეს უთუოდ დროებითი მდგომარეობაა, და ქვეყანას რამდენიმე შთამომავლობა რომ უხეირო და საზარალო გამოუვიდეს, რომელიმე დამჩაგვრელი გარემოების მიზეზით, ამის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა არ შეიძლება. გავა დრო, გამოიცვლება ჰაერი, გაჩნდება ახალი თაობა, რომელიც ნათლათ გაიგებს ხალხის მდგომარეობას, რომელიც ღირსი იქნება თავის მამულის შვილობისა... იმას, რასაკვირველია, ქვეყანა არ ეტყვის: “ტყუილად არ მიღვრია შენთვის ოფლი, ტყუილად არ ვეტრფოდი თურმე შენს გამოზრდას, ემადლობ ზეცას!?...„

მაგრამ ეტყვის განა ხალხი ჩვენს თაობას მსგავს რასმეს? — რასაკვირველია, არა! ეს ჩვენი საბრალო გონებით და მოქალაქობრივი ზნეობით ღარიბი თაობა არა თუ მრთლად არ სდებს ქვეყნისათვის, მისი სიღარიბისა და უმეცრების შემსუბუქებისათვის თავის შრომას—ის ერთ უბრალო საქმეშიაც კი, სასოფლო ბანკების დაარსებაზედაც, არ ეხმარება ხალხს. სირცხვილია, ყმაწვილებო, სირცხვილი!

მეველე.

## წვრილი ამბები

— „დროების“ № 430-ში დაბეჭდილი იყო ერთი კორრესპონდენცია თელავიდგან, რომელიც გვაცნობებდა ერთს უხეიროს, მაგრამ ყოველივე გაუნათლებელს ხალხში აუცილებელს ამბავს, რომ ზოგიერთი გაუნათლებელი და უსწავლელი მღვდლები და ტერტერები ყველა ახალ-მოაზრე კაცს, და განსაკუთრებით ახალს მასწავლებლებს, ძლიერ ცუდის თვალით უყურებენო. კორრესპონდენტი გვატყობინებდა, რომ ერთს თელაველ მასწავლებელს მღვდლებმა და ტერტერებმა ულვთოობა შესწამესო იმის გამო, რომ მასწავლებელი ჭექა-ქუხილს, წვიმას და სხვა ბუნების მოვლენებს ბუნების კანონებით ვანმარტებდა. ეს ს. სულიერო პირები ისე აუტყდნო ამ მასწავლებელს, რომ უჩივლეს და გამოაცვლევინეს. იმავე ნომერში მოყვანილი იყო მაგალითები რუსეთის რამდენიმე გუბერნიიდამ, რომლიდგანაც სჩანდა, რომ მღვდლები იქაც ამ გვარად ეპყრობიან ყველა ახალ მასწავლებელს. ყველა კორრესპონდენტებს მღვდლების ამ გვარი მტრული მოქმედება უკმაყოფილებისა ან სხვა და სხვა ანგარიშებისაგან გამოჰყავთ.

დღეს ჩვენ ჩვენის ქვეყნის მეორე კუთხიდამ ვტყობილობთ ამგვარს ამბავს. გურიაში ერთს მასწავლებელს გადამტერებიან ზოგიერთი მღვდლები და სხვა პირებიც და, რომ სხვა ვერა მოუხერხებიათ მისთვის, ულვთოობა შეუწამებიათ და უჩივლიათ კიდეც,—სწორედ ისე მოქცეულან როგორც თელაველი და ზოგიერთი რუსეთის გუბერნიის მღვდლები. მაგრამ ან კი რა გასაკვირველია ამ გვარი საქციელი. ჩვენ ერთი პატივცემული და ყოვლად საქები მღვდელთ მთავრის ქადაგება რომ გვაგონდება და ამ ქადაგებაზედ მღვდლისა და ერის აზრი, როგორ უნდა გაგვიკვირდეს უბრალო მასწავლებელზედ ეჭვისა და ცილის წამების შეტანა. პატივცემული მღვდელთ მთავარი უქადაგებდა ხალხს, რომ ვინც მარხვას ინახავს, ლობიოთა და ღომით იბერება და ბოროტებას კი არ ერიდება, ის ღვთის სათნო კაცი არ არისო. მარხვა ბოროტებისაგან განწმენდის მომასწავებელი უნდა იყოსო და თუ კაცი რჩევაში შედის, მაშინ ხორცის დათმობას, ბოროტების დათმობა სჯობია...

# ფელტონი

### თფილისიდგან კავთისხევს.

ჩემი მოგზაურობა იმით დაიწყო, რომ პარასკევს დილით შევედი ვოკსალში და დავიწყე ჩაის სმა, სანამდის წასვლის დრო მოაწევდა. თფილისს ჯერ კიდევ არ გაეღვიძა, მაგრამ მგზავრები კი შოშმანებდენ აქა იქა ქუჩებში, მუშებიც თავის სამუშაო ალაგებზედ მიესწრაფებოდნენ. მაგრამ ქალაქს მაინც არ ჰქონია თავისი განმშვენიერებული განსპეტაკებული ბუნებითი სახე, როგორც ყოველთვის, რადგანაც ის იმგვარი ქალაქი, არ არის რომ, მშრომელი ხალხით ყვაოდეს და ცოცხალ-იყოს.

გავიდა ნახევარ საათიც, მე ისევ ფანჯრის წინ ვიჯექი და ჩაის შევექცეოდი. ბევრი უცხო სურათები მოჩანდა ჩემს წინ...

მაგრამ ჩემი ყურადღება ყველაზედ უფრო ამ მხატვრობამ წარიტაცა: დაბლით მწკრივათ ზარბაზნები ბრწყინავდნენ დილის მზის სხივებით, და ერთი ხმალ-ამოღებული დარაჯი უვლიდა გარეშემო. თავდაპირველ ამ ჩამწკრივებული ზარბაზნების დანახვაზედ თქვენ წარმოგიდგებოდათ მარტო უბრალო სპილენძის იარაღები, მწვანე გოგორებზედ დადგმული, რომელთაც არც ძალა აქვსთ, არც სიცოცხლე, რომელნიც ვერც გაშინებენ, ვერც გათრთოლებენ, რომელთაც ერთის სიტყვით შენ ისრე მამაცათ შეჰყურებ, თითქოს უმანკო საგანს შეხვედროდე. მაგრამ მოითმინეთ ცოტა, ეს უბრალო ლითონი როგორ გამხნევდეს, როგორ სიცოცხლე მიეცეს, რა დევის სახე დაედოს, დაიცადეთ, როგორ აკანკალდეთ, წელში მოიხაროთ, როცა ის შეიმკობა თავისი საჭირო მასალებით.

მართლაც არ გასულა დიდი ხანი და ზარბაზნეს გამოაბეს ცხენები და გააქანეს ამ მინდორში, ხან ერთ მხრისკენ აქცევინეს პირი, ხან მეორისკენ. ყველა მხარე შეაძრწუნა, ყოველგან შფოთი და ვაი-ვაგლახი მოახდინა. უწინ უძრავს, უსულოს ნივთს, ამ წამს გააქვს ერთი ღრიალი, ჰყრის ყუმბარებს, ამტვრევს, ამსხვრევს, რაც მის წინ ნიშნათ იყო დადგმული...

დაჰკრეს უკანასკნელად ზარი თუ არა, მე დავიჭირე ჩემი ალაგი ვაგონში და ცეცხლის-ეტლმა ჩვეულებისამებრ ხვნეშით და ღრიალით გაგვაქანა დასავლეთისაკენ...

რამდენიმე საათს იქით მე დავსტოვე მსნის სტანცია, გავცურე ნავით მტკვარი და უცებ მარტოდ-მარტო თვალ უწვდენს და აქა-იქ ბუჩქებიანს მინდორში გავჩნდი. აქ მერცხალი ჭიკჭიკობს, იქ ბულბული სტვენს, აგერ ცხვრები და სხ. ჯოგები ბღავიან, პეტელობენ, კნავიან. იქ ჰოპუმს დამღერიან და ერთი ამბით მკიან ამ ოქროს ფერს ყანებს. პატარ-პატარა ბავშვები ხან ერთს ძნაზედ შეხტებიან ხან მეორეზედ. აი დედაც შვილს აწოვებს ტრფიალით და სიყვარულით, ამ კაკლის ქვეშ, ამ მშვენიერს ჩრდილში, საცა ცივი ნიავი ჰქრის, და ფოთლები თამაშით, შრიალი კაცის თვალსა და ყურს ატკბობს.

უცხო იყო ეს სურათები ჩემთვის, რომელსაც მარტო ქალაქის ცხოვრება გამოუცდია, მარტო მისი უშნო, უფერული, უაზრო დღეებით მობეზრებული ვარ, რომელსაც არ გამომიცდია ბუნებასთან ახლოდ ცხოვრება, სადაც მხოლოდ წმინდათ და პატიოსნათ წარმოიდგინება სიცოცხლე. შორს ჩემგან ქალაქის ფერ-უმარული და პირ-ბადე, რომლის ქვეშ იმალება კაცობრიობის უდიდესი ბოროტება და უსამართლო ცხოვრება! აგრე ესწყვეელიდი მე ცივილიზაციას და მისგან ნაშობ ნაყოფსა ამ მშვენიერათ აყვავებულს და ამწვანებულს ქვეყანაში, რო-

ბიაო. ეს აზრი მრავალმა ვერ გაიგო და გამტერებული გამოვიდნენ საყდრიდგან, ამბობდნენ, ეს ბერი მარხვის შეუნახველობას, ულვთოობას და ყოველივე ცუდ-კაცობას გვიქადაგებსო (sic)! ამას იქით იშვიათად როგორ უნდა გვეჩვენოს ორიოდე გონებასხვიანი კაცების ათვალწუნება და იმათი დევნა!

— „ტფილისის მოამბეს“ ატყობინებენ, რომ ყიზლარის ქალაქს 29 აპრილს 1874 წ. გარდაუწყვეტია, რომ მმართებლობას რეალურის სასწავლებელის გახსნა სთხოვონ, რომელშიაც სხვათა შორის მეურნეობისაგან ღვინის კეთებას და მებაღობას უნდა ასწავლიდნენ. ამ სასწავლებლისთვის ქალაქი ერთ-ჟამიერად შვიდიათას მანეთს სწირავს და აგრეთვე ყოველ წლივ შვიდ-შვიდი ათას მანეთს. თერგის მაზრის მხედრობა თავის მხრით ოთხი ათას მანეთს სწირავს. ამას გარდა ქალაქს მიუცია სასწავლებლისათვის ორი დიდი ქვით-კირის სახლი და 50 დესიატინა მიწა ფერმისათვის.

ეს მაგალითი ჩვენთვისაც წასაბაძველი უნდა იყოს უთუოდ და რამდენათაც ტფილისი ყიზლარზედ უფრო დიდი და შეძლებულია იმდენად იმას უფრო დიდი მიზანი უნდა ედვას წინ, თორემ უდარდელობისა და ძუნწობის სახელი დაუვარდება უთუოდ.

— „მოსკოვის უწყებებში“ სწერენ, რომ მმართებლობა აპირებს შემდეგი ახალი კანონების გამოცემას გლეხთ-ოჯახების გაყოფის შესასაზღვრელად: ა) რომ ოჯახის გაყოფა ყოველთვის მშობლების ან ოჯახში უფროსის თანხმობით მოხდეს; ბ) რომ გასაყოფ ოჯახზედ არავითარი სახაზინო ან სხვა გარდასახადი არ იყოს დარჩენილი; გ) რომ ყოველივე განაყოფს ცალკე ოჯახური ცხოვრება შეეძლოს, ე. ი. რომ განაყოფს სახაზინო და სხვა სამსახურისა და გარდასახადის გაწევა არ გაუძნელდეს და დ) ახალი ოჯახის დასახლების დროს სასოფლო და საცეცხლე წესდების კანონები დაცული იყვნენ.

— დიდი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც ს. ოძისში მსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის კასსა დაფუძნდა და თიანეთშიაც გახსნეს ამ გვარივე კასსა. ეხლა კიდევ გვატყობინებენ, რომ კახეთში სოფელთ ენისელს და საბუეს მთავრობასათვის საამხანაგო კასსის წესდების პროექტი წარუდგენიათ და თხოულობენ, რომ იმათაც კასსის გახსნის ნება მიეცეთ. დასაფუძნებელ თავნად ამ სოფლებს ათას სამას ორმოცდა ათი მანეთი აქვსთ თურმე.

## ამბები დ. ყვირილიდგან.

— ვარძიის სოფელში შორაპნის უეზდში ერთი მღვდელი გაქურდეს და ას ორმოცდა თხუთმეტი მანეთი მოჰპარეს ქაღალდის ფულები და თეთრი ფულები, როგორც ამბობენ, ოცდა ათ თუმნამდის დარჩენოდა, არ წაეღოთ. მღვდელს უთხრეს პოლიციას განუცხადეო, მაგრამ არ განუცხადა, თხუთმეტი თუმანი სიარულში მომინდებაო. მიამურა იავე მკითხავებს. მკითხავების მარჩიელობით მღვდელმა ფულები ამოიგო სულ, ხუთ მანეთს გარდა. მოდი და შენ უთხარი ეხლა ხალხს, რომ მკითხავები მატყუარები არიანთქო!..

— ერთს პრიჩეტნიკს ამას წინათ თხუთმეტი თუმნის სადარალი ნივთები მოჰპარეს ბელლიდამ. ხუთი თუმანი სასამართლოებში ტრიალით ზარალი მიეცა!...

— ორი კვირა არ არის კიდევ გასული, რაც ერთმა უმფროსმა ინჟინერმა მთავრობის ბრძანებით ჩვენი შორაპნის უეზდი დაიარა ციხის სადგმელი ადგილის გამოსარჩევად. ამისთანა ადგილი, როგორც ამბობენ, სოფელს საქარაში გამოურჩევია რკინის გზის სიახლოვეს. შორაპნის უეზდში კაცის კვლა, მტაცებლობა და სხვა ცუდ კაცობა ისე გახშირებულია, რომ არ იცის კაცმა გარეგანი მტერობისთვის აშენებენ ციხეს, თუ შინაურებისათვის?!...

— ჩვენში, შორაპნის უეზდში, ხარის ჭირი გაჩნდა და ძლიერ დიდი ზარალი მისცა საზოგადოებას. ხარები მთებში იყო გარეკილი საბალახოთ და პირველად იქ გაჩნდა. ეს ჭირიანი ხარები სოფლებში წაიყვანეს. ისინიც დაიხოცნენ, რომელიც ჩამოიყვანეს და სხვებსაც ბევრს დაემართათ. ამისთანა ზარალი ხარის ჭირით არ მისცემია შორაპნის უეზდს ჯერეთ. ვეტერინარი ექიმი, როდესაც თითქმის მოწყდა, მაშინ მობრძანდა ქუთაისიდამ!

— ერთ მომრიგებელ მოსამართლესთან ერთი კაცი მივიდა და იჩივლა, ამა და ამ კაცმა გზაში გამლახაო. მომრიგებელმა მოსამართლემ მოწმები მოსთხოვა. დანიშნულ დღეს მოვიდა კაცი. სუდიამ უთხრა მოიყვანეო. მოჩივარმა უთხრა, გარეთ გახლავს, ბატონო, ერთი მოწმეო და არ შემოდის შინაო, სასამართლოშიო. სუდიამ პრისტავი გაგზავნა შემოსაყვანად. მოჩივარი უკან მიჰყვა და თავისი ჯორი უჩვენა, სვეტზე მიბმული ბაწრით. მე მაგის მეტი მოწამე არ დამსწრებიაო და თუ მაგას ჰკითხავთ, კარგი იქნებაო!

— შორაპნის უეზდში სნეულება და კაცის სიკვდილი ისე არ არის ხშირი, როგორც წინათ იყო ზამთარში, რომლითაც ექიმები და მღვდლები ძლიერ დაღონებულნი არიან.

— შორაპნის უეზდის სასამართლოსთან სამსამი ცხენი არის დაყენებული მცხოვრებლების ნიადაგ ჩინოვნიკების წასაყვან-წამოსაყვანათ სამსახურისა გამო. მაგრამ ხანდისხან რომ ამ ცხენებით ქალბატონები დასეირნობენ სოფლებში საქეიფოდ, რა თანამდებობას ასრულებენ?...

X.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ს. დარიხევი, 27 ივლისს 1874 წ.

აქ ჩვენს ხარაგაულის საზოგადოებაში ორიოდე მცირე შესანიშნავი ამბავი მოხდა. ს. ხ—ში ერთ მარტოხელ გლეხს წლისა და ნახევრის შვილი ჰყოლია. 18 რიცხვს ამა თვისას დილით ეს გლეხი წისქვილში წასულა, ცოლი კი სახლში დაუტოვებია. რამდენიმე საათის შემდეგ ცოლსა ეს შვილი აკვანში დაძინებული დაუტოვებია, სახლის კარები გამოუკეტია და თითონაც მეზობლებში წასულა. ამის სხვაგან ყოფნაში ბავშვს გამოღვიძებია, რასაკვირველია იტირებდა, ტირილში აკვნიდან გადმოვარდნილა, კისერში არტახი (ხელ-ფეხის გასაკავებელი, შემოჭერია და დამრჩვალა. მერე დედაც მოსულა და მამაც, ორივეს ბევრი ეყვირათ, ეთავეცემებიათ, მაგრამ შვილი მაინც ველარ გაეცოცხლებიათ.

მეორე ამბავი ეს გახლავსთ: 31 ამავ თვისას ს. ს—ში ერთი ღატაკის პრიჩეტნიკის ქვრივს ერთი მაღალ წოდების ქურდი სწვევია. ეს გაჭირვებული ქვრივი თავის ოთხი პაწაწინა ბავშვებით თავის სახლში წოლილა. შექმნილა თუ არა მამლის ყივილის დრო, ეს პატივ-საცემი სტუმარი ღია ფანჯრიდან გადაპარულა. სახლში რომ ფაჩა-ფუჩი შექმნილა ქალს უყვირია: „ქურდი ხარ ქრისტიანო, მიშველეთ, ქურდიო.“ ამ ხმისა ქურდს შეშინებია და ისევ იმ ფანჯრისკენ მიუშურებია, სიდანაც შესულიყო. ზალამხტარა თუ არა, ქალს ხელი უტაცნია და თავშალი შერჩენია ხელში. ეს ქურდი თურმე ცხენით მიბრძანებულა და რომ ქალის ყვირილზედ იმ გზით ველარ წასულა, ცხენიც იქვე ქალის ეზოში დაუტოვებია. ქურდის ვინაობა ამ ცხენით იცნეს. მეორე დღეს ქალს საჩივარი განუცხადებია, მაგრამ ქურდმა კიდეც მიუსწრო: „ქვრივმა გზაში მიმავალი, თავისი მეზობლების შემწეობით, გამძარცვაო“. მაგრამ იმ დალოცვილს ეს ანდაზა კი აღარ გახსენებია, „სართი დასწრების არისო.“

ამ საქმის გამო ნაჩალნიკის თანაშემწე მოსულა ადგილობრივ და ქვრივი დაუბარებია. სანამდის ქვრივი თანაშემწესთან მივიდოდა, გზაში შამოხვევიან მას რამდენიმე მაღალ წოდების პირები და უთხოვნიათ: შენი ქმრის სულის სამადლოთ ეს საქმე მოსპეო. ეს დედაკაცი, რომელმაც პირველად მამაკაცური მხნეობა და სიმარჯვე გამოიჩინა, ისე დააჯერეს თურმე, რომ, მივიდა თუ არა პომოშნიკთან, მაშინვე ქაღალდი შეიტანა: რადგან ამ საქმის დამტკიცება არ შემიძლია, გთხოვთ საქმე ჩემგან დაწყებული მოსპოთო.

ეს ქვრივი მე გუშინ ვნახე ბელაგორის რკინის გზის სტანციასთან და ასე შემომჩივლა: შემაცდინეს და გარიგების ქაღალდი შემატანინეო. სოფელი აგერ ამიკლებს, ჩვენი სოფლის ქურდი დღეს ვნახეთ და შენ როგორ განათავისუფლეო. ახლა მივდივარ ისევ საჩივრის შესატანათო. რა უნდა იფიქროს კაცმა იმ პირებზე, ვინც ეს დედაკაცი ააგულიანა და მოსპობის ქაღალდი შეატანია? მერწმუნეთ, მკითხველო, რომ ისინიც ამ ქურდის თანა ზიარნი არიან. პატიოსანი კაცი არას ოდეს ცუდ კაცს არ დაფარავს. ვილასა სწამს ღმერთი! რაც კაცი, შემწეობის მაგიერ, გაჭირვებულ ქვრივს გაცარცვას და გაქურდავს, სხვას რაღა კეთილს დააყრის. თითონ მითხრა იმ ქვრივმა: სახლი გავყიდე და იმაში აღებული ფული მქონდა ცოტაოდენიო, მაგრამ ქურდს წაღება არ დასცალებიაო. როდის იქნება ის დრო, რომ მოისპოს ეს საძაგელი ქურდობა და ავაზაკობა? ან კი რითი მოისპობა! ამას წინეთ მოწერილობა იყო მამასახლისებთან, ყრილობა მოახდინეთ, ვინც ქურდი და სოფლის მავნებელი კაცი იყოს, წარმოადგინეთო. ეს მოწერილობა აქაურმა მამასახლისმა სისრულეში მოიყვანა. ყრილობამ განჩინება შე-

---

მელმანაც აგრე წარიტაცა ჩემი ნამდვილი არსებობა, სადაც როგორც მფრინავი ისრე ავსუბუქდი, გავხალისდი და ერთი სატრფო სურათიდამ მეორე დამატკბობელ მხატვრობას ვასკდებოდი; არაფერი არ მეჩვენებოდა მე ბნელათ, მწუხრათ ამ ბუნებაში, ყველგან თითქო თაფლი და რძე სდიოდა ყველგან სიხარული მეფობდა,..

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა მე მივაწიე ქავთისხევს. ვინც ჩემსავით ქვევითათ გამოივლით რკინის გზის სტანციიდამ ამ თხუთმეტს ვერსს და ამ სურათებს ნახავთ, ნუ გაჩერდებით ამ ქალაქის მსგავს სოფელში, გასწირეთ თქვენი ფეხები კიდევა და ორიოდე ვერსი გადაიარეთ, აფორთხდით ამ მთის ფერდებში და იქ, სადაც ძველათ ეკკლესია ყოფილა, სადაც ეხლაც მრავალს აკლდამებს შეხვდებით, აი იქ დაისვენეთ და გადმოხედეთ ამ თქვენს ქვეყანას. შენს წინ გარდიშლება დიდებულათ საქართველო, რომლის ერთ მხარეს გაწვდილა გრძლათ დიდი ქავკასის ქედი თავისი მყინვარი, ვერცხლის ფერი წვეტებით. აგერ ახლო-მახლო მიიკლაკნება მტკვარი და მის პირათ გაღმა ცეცხლის ეტლი მირბის, იმას აქეთ დიდი მინდორი, ასრე უცხოთ რომ ზოგან აუმწვანებიათ, და ზოგან მოუოქრავთ კავთისხეველებს; მის სიახლოვეს აღმოსავლეთისკენ შემოგვცქერის ვევება ბალი ამ ხეობაში ჩასმული ეს არის ქავთისხევის სოფელი.

ქავთის ხევი ეტყობა კმაყოფილია თავისი ბედით. მრავალი მდინარე ჩამოივლის ამ ხეობაში, რომლითაც ირწყვება მთელი ნიადაგი და მერმე ახალქალაქის სოფლის ყანებსაც ილავს გვალვისაგან.

აი კიდევ სოფლის სიმდიდრე: აქეთ და იქეთ მას არტყია საკირე კლდეები, რომელთაც ასრე უხვათ სწვავენ აქაურები და ტფილისში ჩააქვთ გასასყიდათ. მთის ფერდოებში უდაბური ტყეა, რომელსაც ულმერთოთ სჭრიან. აქ თურმე იშვიათათ შესაძლებელია, რომ გლეხმა ხუთი თუმნის ტყე არ გაყიდოს, თორემ ოცი თუმნის, ორმოცდა ათი თუმნის ხშირია.

ეს სოფელი ვენახებითაც მდიდარია და კარგ ღვინოებსაც აყენებს თურმე, უადგილომამულო გლეხი აქ ბევრი ბევრი ოცი კომლი იყოს ხუთას მოსახლეში. ეს დიდი სოფელი ხუთ ნაწილათ გაიყოფება, ეს ნაწილები თითო ვერსზედ არიან მოშორებული და ამისგამო ყოველს მათგანს თავისი ეკკლესია აქვს. სულ ხუთი ეკკლესიაა, ერთი ამათში სომხებისა არის. აქ ოცდა ათი მოსახლე სომეხია, მაგრამ გაგიკვირდებათ როცა გეტყვიან ეს გლეხები სომხები არიანო: არც სახე, არც ტანთ-ჩაცმულობა, არც ენა სომხის არა აქვთ. იგინი წმინდა ქართველი გლეხები არიან, მხოლოდ რჯული ასხვავებს, თორემ სხვა არაფერი. ამიტომაც ამ სოფელში ასრეთი ერთობა აქვთ ამ სომხებს დანაშთენ ქართველებთან. ქალაქელი, რასაკვირველია ვაჭარი, სომეხი ისრე სძულთ ამათ, როგორც ქართველებსაც. აქ ამ ცოტა ხანში ერთი ვაჭარი სომეხი მოსულა და უთხოვნია კავთის ხევის გლეხებისათვის, რომ იმათ მიეცათ მისთვის ნება, რომ მარტო იმას ევაჭრნა ამ სოფელში და ამისთვის ის ათ თუმანს აძლევდა სოფელს წელიწადში ბაჟათ და ტფილისში აბაზის სადირალს საქონელს ექვს გროშა უკლებდა. ეს პირობა რასაკვრელია კარგა ოსტატურათ არის შედგენილი, მაგრამ არა, აქაურები არც სომხები და არც ქართველები არ უჯერებენ, და არას გზით არ დაეთანხმებიან, თუ სხვა ხრიკები არ ჩაიდინა. მრავალმა მითხრა, რომ ის უთუოდ მამასახლისს მოიქრთამებსო, ან მებატონეებს და ჩამოგვიდგებაო. თუ ყოჩაღათ იქნენ, რასაკვირველია აქაურ გლეხებს კახელებსავით ვერ დაატყუილებს. აქაურებმა მითხრეს, რომ თუ მაინც და მაინც გაიტანა საქმეო, მაშინ სხვა ღონე არ არისო, იმის პირობას დავადებინებთ, რომ ხორაგში არ მოგვყიდოს საქონელიო, მარტო ნაღდ ფულზედ ივაჭროსო, თორემ ვაი ჩვენს დღეს, თუ მკის დროს ჩა-

უდგანა ერთ ვალდებულ გლეხს ქურდობაში შენიშნულს და წარადგინა. საგლეხო პრისუტსტვიამ განიხილა რა ეს განჩინება, გლეხს შორს გაგზავნა გადუწყვიტა, მაგრამ იმ პირობით, რომ ამ საზოგადოების გლეხებმა მისცენ მას გზის ფული დანიშნულ ადგილამდის, სულ 35 მანეთი და 45½ კაპეიკი, აგრეთვე იმ გლეხის ხვედრი გარდასახადი მათვე უნდა შეიტანონ და თუ ცოლ-შვილი ისურვებს (შვილები თოთხმეტ წელს დაბლა) თან გაყოლას, ისინიც მათვე უნდა გაგზავნონო. ამ გარდაწყვეტილებაზე ცოტა არ იყოს გლეხები დაყოყმანდენ და ასე აპირობენ პასუხის გაგზავნას: ჩვენ ქურდი გამოგვიყვანია, თუ გაგზავნის მთავრობა ის არის, თუ არა ჩვენი ხარჯით ვერ გავგზავნითო, და მაშინ ეს ერთი დანაშაულობა ეპატიოსო. მგონია, რომ მართებლობა ამ გლეხების უკანასკნელ აზრს არ დაეთანხმება და თუ ეინიცობაა ეს ქურდი არ გაიგზავნა, ზოგი მერე უნდა უყურო სეირი ქურდობის და ავაზაკობის გავრცელებას.

X. X.

---

დ. ყვირილა, 28 ივლისს 1874 წ.

ღმერთმა ყოველი გაჭირვებული კაცი ააცილოს სოფლის მოსამართლეების ხელში ჩავარდნას! სწორეთ ამნაირის სიტყვებით მოშორდებით და ერთ-ორს შეუკურთხებთ მამასახლისს, რაც გინდა საქმე დაგირჩესთ მასთან. რა გინდა, ბატონო, ერთ უბრალო საქმეზე დაგიბარებს ხვალ, ზეგ, მაზეგ, იმ კვირაში, მეორე თვეში; გათრევს, „გახახანებს“, გაქაქანებს; შამფურზე წამოგაგებს, შეგწვავს, არც მოგხარშავს, გატრიალებს წალმა-უკულმა; ერთი სიტყვით დაბადებას დაგაწყევლინებს, მოთმინებიდამ გამოგიყვანს და, როგორც იქნება, გაღირსებს სამართალს; მაგრამ რათ გინდა: ახლა რამდენი ბეჭდიანი მოხელეა, კაცია, (სოფლებში ასე ეძახიან მამასახლისის კრებას) იმდენი 5 მ. ან 6 მ—იანი უნდა იქონიო დახურდავებული და დაურიგო თითოეულს, თორემ ისე ბეჭედს არვინ გაათბობს შენთვის.

ტყუილი ნათქვამი როდი უნდა იყოს, „გლეხი რომ ცხენზე შეჯდება ღმერთიც არ გაახსენდებაო“. ჩვენი მამასახლისები *) რომ გულზე ჯაჭვს დაიკიდებენ და საქმის განხილვას შეუდგებიან, მაშინ კი სწორეთ არ ახსოვსთ იმათ არც ღმერთი, არც კაცი, არც უფროსი, არც უცროსი და, ვგონებ, არც თავიანთი თავი. მაგრამ თავი როგორ არ ახსოვსთ, რომ სულ იმაზე ჰფიქრობენ, თუ რამდენი ფული აჰკრან ამა და-ამ საქმეში; გარეშემო მოგროვილი სუდიები და მოწმები ითვლიან ერთმანერთს და თითებზე ანგარიშობენ, რამდენი არაყი დააკმაყოფილებს იმათს სიხარბით გაუმაძღარს გულს და შიმშილით დასუსტებულ კუჭს. (არაყთან სხვა რამეც იქნება).

მაგრამ მე კი, უნდა გამოვტყდე, თუ არ დამზრახავთ, სხვა ნაირათ მოვიქეცი ერთხელ. 5 მან. ვექსილი მქონდა დასამოწმებელი, ბევრი ვეხვეწე, „ველიტინე“, ყელზე ვეხვიე, ჭირი მოვჭამე, მუხლი ვკოცნე ყველა ბობოლაებს, მაგრამ შენც არ მომიკვდე ჩემი ვექსილი ბეჭდის ღირსად არა ვინ გახადა. გაჯავრებული შევედი ოთახში, როცა ყველა ვარეთ მუსაიფობდენ; ბეჭდები აგერ ყრია სტოლზე უპატრონოთ; ავიღე და „ვსტკიცე“ მამასახლისის ბეჭედი თავის ადგილას, დაბლა მივაყოლე სხვა ბეჭდებიცა და „ჩავიდე“ ჯიბეში დაჭრელებული ქაღალდი (მაშ ხუთ მან. საქმეში ორი მან. უნდა დამეხარჯა?) მერე ვაჩვენე ეს ქაღალდი მამასახლისს და ურჩიე, რომ ბეჭედი დაკეტილში ან ჯიბეში შეინახოს.

საზოგადოთ ვერ ვიტყვი და ჩემ სოფელში კი ყველა „ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთო“, ჩივის ერთმანეთთანა, „როცა დიამბეგებს მოვერჩით და ჩვენი ტოლების ხელში ჩავარდითო. მართალიც უნდა იყოს, ვგონებ. თუმცა არც ისინი აყრიდნენ ხეირს გლეხებს, მაგრამ საქმეს მაინც გვარიანათ იჭერდნენ, თუ არ ვსცდები ამაში; ჩვენი მამასახლისებისათვის კი „ცა ქუდია და მიწა ქალამანი,“ სწორეთ მოგახსენოთ დაეყრება აუარებელი მჭამელები კანცელარიის წინ და რაებს როშვენ დილიდამ საღამომდე თვითონაც არ გაეგებათ რა. მოაწევს შუადღის შიმშილი, მიართმევენ სადილს,—ღამის—ვახშამს. ხანდისხან გაემგზავრებიან სოფლებში, მაგრამ ვაი იმისი ცოდვა, ვისაც ისინი ესტუმრებიან.! ულვინოთ სადილს როდი მიირთმევენ; უნდა იყიდოს საწყალმა გლეხმა ღვინო, დაათროს ისინი რომელთაც თავიანთ სახლში ღვინის გემო არც უნახავსთ (ეს შეეხება ქვემო იმერეთის სამამასახლისოს) და ცივი ღომის და ლობიოს ჭამით ბაყაყის ფერი ედოთ. . ჰაი, ბიჩა, ვის არ შერჩა თითო დრო და გამოიყენა წუთის სოფელი?!

ტყუილა როდი გამოუთქვამს სოფლელებს მოსამართლეებისათვის ამნაირი ლექსები როგორც მაგ. ეს:

„მამასახლისი, სუდია
ფინთია და ცუდია;
თუ რომ ქრთამი არ მიეცი,
შენი საქმე ცუდია!...
და მისი სუდიები—
გიჟი, ცრუ და ყრუები!
ღმერთო მათ ხელს ნუ ჩამაგდებ,
მორჩილად გევედრები!...
კეთილ სინიდისის მქონე,
მე თქვენა კარგი მეგონე;
მაგრამ ახლა კი დავრწმუნდი—
არც თქვენ ხარ თქვი სა მქონე.“ და სხ.

თუმცა ბევრი ისეთი გამიგონია და მინახავს მამასახლისების ნამოქმედევი, რომ ამ ყურიდგან იმ ყურში გასაგონი არ არის, მაგრამ იმის წერა ჩემი საქმე არ არის; მე არც ამის კითხვით მინდოდა შემეწუხებია მკითხველი, მაგრამ არ შეიძლებოდა არ დამეწერა, დაგული არ დამეცხრო ამით მაინც, ისეთი გული მომაყვანინა მამასახლისმა ერთ უბრალო საქმეზე.

---

— ეს ერთი თვეა თურმე, რაც საქონლის ჭირია ზესტაფონში. ეს ჭირი ემართება მარტო ხარს და ძროხას, მთიდან მოყვანილს პირუტყვებს ჩამოყოლიათ და ამათგან სოფლებში დარჩენილებსაც გადადებია, ასე რომ ახლა ძალიან ბევრი იხოცება თურმე. თუმცა მთავრობამ ადრე გამოაცხადა, რომ არ ჩამოეყვანათ მთებიდამ ავათ-მყოფი პირუტყვები, მაგრამ ხალხმა თავისი არ მოიშალა და ამიტომ უფრო ზარალი მოუვიდათ. ახლა გამოჩნდა ერთი სოფლური ექიმი, რომელიც კარგათ მყოფ პირუტყვებს ასმევს წამალს, ვითომ აღარ დაემართებათო, და თითო სულზე თითო-ორ-ორი აბაზი მიაქვს. თუ პირუტყვს ერთ კვირაში არა გაუჭირდა რა, იტყვიან წამალმა ისაქმაო, თუ რაიმე დაემართა, ექიმი იტყვის, ტანში ჰქონია სნეულობაო. ასე ამ ნაირათ იშოვა ამ კაცმაც ერთი დრო და სარგებლობს იმითი. ბუშინ წინ თურმე ერთ ტომარა გროშებს მიათრევდა ეს ექიმი. ესეც ახალი გამოგონება, ქველმოქმედება. თურმე კარგათ მყოფს უნდა წამალი და არა ავათ მყოფს(?!). ვინ თქვა ქართველ კაცს არაფრის გამოგონება არ შეუძლიაო?

---

— წასრულს კვირაში ყვირილაში, ბოშებმა ჩამოიარეს. ერთს იმათ ქალს უნახეს ექვსი თვის ყმაწვილი, რომელიც სრულიად არა ჰგავდა სხვა მის ტოლს, ჭველა მუგუზალივით გატრუსულები იყვნენ, ესეი—თეთრი ბროლივით და ლამაზი. ყველა დარწმუნდა, რომ ის ჩვენში იყო მოპარული, წაართვეს საწყლებს ბოვშვი და პოლიციის პრისტავმა წარუდგინა უეზდის ნაჩალნიკს. უეზდის ნაჩალნიკი ძალიან გაუჯავრდა პრისტავსაც და ბოშების დამჭერსაც, და განათავისუფლა ისინი. უნდა გეყურებინათ, რა საცოდავები იყვნენ ბოშები საქმის გადაწყვეტამდი. ქალების კივილი მოთქმა, და ზედ კაცების ბანი გულს აბნელებდა.

ამბობდნენ, ბოშებს ქუთაისშიც დაეძებდნენ. რამოდენიმე ბოშებს მოუპარავსთ სოფლებში ოთხი ცხენი და წაუყვანიათ ქუთაისისკენ. პატრონებიც ქუთაისამდი ჩასულან ცხენების საძებრათ; სალორიაზე უნახავსთ ბოშები, რომლებთაც შევაჭრებიან ცხენებზე; ბოშების ცხენებში უნახავსთ ორი ცხენი და ერთი ავშარა, ეს საქმე ქუთაისის პოლიციას შეატყობინეს; პოლიციას გამოუგზავნია ბოშები და ცხენები ყვირილაში საქმის გამოსაძიებლათ. ამავე ბოშების ქალებს ერთი მღვდლისთვის ანაფორა მოუპარავთ: ორი ქალი მისულა ოჯახში და ეზოში დაუწყიათ მკითხაობა. ადვილათ წარმოსადგენია, რომ ყველა ოჯახში მყოფი იმათ შამოეხვეოდათ; ამ დროს უკანიდამ შამოპარულან სხვები და მოუპარავსთ ანაფორა და მასთან სხვა რამეებიც. მღვდლისათვის საზარებლათ დაუძახიათ, უნახავს, რომ ანაფორა არ არის; გამოდევნებიან ბოშებს და გზაში წაურთმევიათ. სხვებს თავი დაეანებოთ, მაგრამ ბოშებმაც ეგრე უნდა აგვიკლოს?!

თ—ლე კ—აკი.

---

# რუსეთი

## ახალი კანონი საიდუმლო საზოგადოებათათვის.

წასრულის თვის დამდეგს პეტერბურღში სახალხოდ გამოცხადდა ახალი კანონები, საიდუმლო საზოგადოებათა შედგენისა და იმათში მონაწილეობის მიღებისათვის სასჯელის დამდებელი. 1867 წლიდგან ეს წესდება მეორეჯერ იცვლება. 1867 წლის კანონი სცვლიდა ოთხს მუხლს საიდუმლო საზოგადოებებზედ: ძველი წესდება ამბობდა,

---

მოგვივიდა და, როგორც კახეთში, ერთი კოდის სადირალ საქონელში ხუთი და ათი კოდი პური წაგვართვაო. ეს მოსაზრება რასაკვირველია კარგი გამჭრიახობის და ცხოვრებაში გამოცდილების ნაყოფია და თუ იმდენზედ მიახწიეს გლეხებმა, თუ ასრე პრაქტიკულათ შეხედეს მომავალსაც და ამ ყალბ დროსაც, ჩვენ ნუ დაგვეკარგება იმედი.

სასირცხო ამ სოფლისთვის ის არის, რომ ამ სიდიდე და ასრე შეძლებულს სოფელში შკოლა არ არის, არც ბანკი; ეს მართლა რომ სამწუხაროა, მაგრამ ამის პასუხათ გლეხებმა მითხრეს, რომ ჩვენს სოფელში ერთი მოხერხებული კაცი არ არის, რომ ეს საქმე ითავოსო. ჩვენ გვითხრეს ოძისის გლეხებმა, თუ რა დიდი სარგებლობა მოიტანა ჯერეთვე იქაურმა ბანკმა, ჩვენი შვილებიც გვინდა ნასწავლნი იყვნენ, მაგრამ რაუყოთ, რომ ჩვენს შვილებს არა სცალიან: ექვსი წლისა როგორც გახდებიან, ვერც ერთი შინ ველარ რჩება, სულ ზოგი ურემს მიჰყვება, ზოგი მწყემსობს, ზოგი სხვა სამუშავოშია. მაგრამ მოთავე კაცი რომ გაჩენილიყო მაინც მოვახერხებდით რასმეო.

მართალია, მრთელი ზაფხული ამათი ყმაწვილები ნიადაგ შრომაში არიან, მაგრამ ზამთარში კი არც დიდი და არც პატარა ბევრს არას აკეთებენ. მივიღოთ, რომ ვაჟები მართლაც შრომაში არიან ნიადაგ გართული და არც დრო აქვთ, რომ სწავლას ხელი მოჰკიდონ ან ზამთარში, ან ზაფხულში; მაგიერათ ქალები რაღას აკეთებენ, ქალები ხომ მაინც ხელცარიელი არიან? კარგი არ იქნებოდა განა, იმათგან დაწყებულიყო სწავლა, კარგი არ იქნებოდა, ჯერ ჯერობით საქალებო შკოლა გახსნილიყო, დაზდილიყვნენ კარგი ქალები? განა ამით უფრო ადვილათ არ გაგვეზდებოდა ხეირიანი ახალი თაობა, ვიდრე ვაჟების აღზრდით? განა განათლებული ქალები უფრო არ მოფენდენ სინათლეს?

დიალაც, საუცხოო იქნებოდა ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილი სოფლებისათვის, ჯერ ჯერობით საქალებო შკოლები გახსნილიყო. ეს უფრო ადვილი მოსახერხებელია და გლეხებიც არ უნდა გახდენ ამის წინაამდეგი.

სახლი და კარი ამათი ისეთი ხასიათისა არის, როგორც დანაშთენ ქართლში: ნახევარი სახლი მიწაშია ჩაფლული და ზემოდამ ბანი, ასე რომ ცოტაოდენი მაგარი წვიმა ისე გაუვლის შიგ, თითქოს სახურავი არც ჰქონდესთ და აქამდის ეს ვერ მოუფიქრებიათ, რომ იმერულათ შუაშიაწეული სახურავი გაუკეთონ და კრამიტით დახურონ, ან და ისევ მიწით.

სახლები ბნელი და ბინძური, ნამეტნავად ქალებისაგან ყოფილან გაბინძურებული. ეს მარგალიტის მსგავსი ბავშვებიც ისეთი გამურულნი და გასვრილნი ჰყავთ, რომ შეგეზარებათ შეხედვა. წყალი მაინც არ ჰქონდესთ, ერთი ნაბიჯი რომ გამოადგან სახლიდგან, ერთისაგან სამს მდინარეში ჩაჰკრავენ ფეხს და ის ვერ მოუფიქრებიათ, ბავშვებს პერანგები დაურეცხონ და თვითონაც წმინდათ იყვნენ. აქ თურმე ჩვეულებათ არის, ერთს პერანგს რომ ჩაიცვამენ სანამდის არ ჩამოალპებათ ტანზედ, მანამდინ არა გარეცხავენ, არც ჩაბერტყენ, არც გაიძრობენ. განსხვავებულ დღესასწაულებზედ, როცა ხალხის კრება იქნება, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ დაირეცხონ ტანისამოსი.

ამას გარდა ბავშვების მუცლის სიდიდემ გამაშტერა, თითქო ყველას წყალმანკი სჭირდათ, მაგრამ თურმე მიზეზი ის ყოფილა, რომ აქაურს ბავშვებს, უნდოდესთ თუ არა, პურის ნაჭერს ნიადაგ ხელში აძლევენ. ვაჟები კი უფრო წმინდათ არიან ვითომც, მაგრამ შუა მუსაიფში რომ ხელს ჩაიყოფს უბეში... ის კი გულს აგირევს, შეგაძულებს სწორეთ ამ ცხოვრებას. ეს მარტო გლეხობაში კი არ არის, აქაური აზნაურებიც არ ყოფილან ამ სენს აცილებულნი.

ქავთისხევი, 4 აგვისტოს 1874 წ.

N.

---

*) მე ამას საზოგადოთ ყველაზე არ ვსწერ.

რომ კანონიერად დაუმტკიცებელს საზოგადოებას, ამხანაგობას, ძმობას და სხვა ამგვარს კრებას პოლიცია არ იცნობს წესიერად და ყველა წეს-დება, გარდაწყვეტილება და განკარგულება, რომელთაც ამგვარს საზოგადოებას უნახვენ, არაფრათ ჩაეთვლებათ. მაშასადამე ამ მუხლით კანონის ნება-დაურთველად საზოგადოების შედგენა წევრებს დანაშაულობათ არ ჩაეთვლებოდათ, იმ შემთხვევაში, რასაკვირველია, თუ ამ საზოგადოებას არავითარი კანონის წინააღმდეგი მიზანი არ ექნებოდა,—პოლიცია მხოლოდ უკანონოდ ცნობილობდა ამ საზოგადოების ყოველივე განკარგულებასა და მოქმედებას. 1867 წლის წეს-დება კი უფრო მკაცრის თვალით უყურებს ამ გვარს საზოგადოებას. ამ წესდებით უკანონოდ ითვლება არა თუ მარტო ის საზოგადოება, რომელსაც სახელმწიფოს წინააღმდეგი საქმე დაუდვია თავის მიზნად, არამედ ყველა საიდუმლო საზოგადოება, რა აზრითაც უნდა იყოს შედგენილი. წესდების ძალით კანონის წინააღმდეგთ შორის შერაცხული იყვნენ არათუ საკუთრად საზოგადოებანი, არამედ ყოველივე ყრილობა, კრება, ამხანაგობა, წრე და სხვა ამ გვარები, რა სახელიც უნდა ჰქონოდათ იმათ. ამგვარ საზოგადოებათ ითვლებოდენ ისინიც, რომელთაც ჯეროვანი ნების დართვა მიიღეს მთავრობისაგან, მაგრამ შემდეგ თავის მიზანს გადაუდგნენ და კეთილ-საჩინო მოქმედებით დაჰფარეს თავისი მიმართულება, რომელიმე მხრით სახელმწიფო წყობილებისა და საზოგადო ზნეობის მავნებელი. ამ მუხლების თანახმად შეიცვალა სასჯელთა წესდების მუხლებიც და საზოგადოდ უფრო მკაცრი სასჯელი დაწესდა. მაგალითად, წინანდელის კანონით, ვინც მმართებლობისაგან ნება-დაურთველი საზოგადოების შედგენას გაიგებდა, თუნდაც რომ დაწერილებით არ სცოდნოდა საზოგადოების ხასიათი და მიზანი, და არ შეატყობინებდა მთავრობას, უნდა დაემწყვდიათ სამიდგან შვიდ დღემდის. 1867 წლის წესდებით ამ გვარივე კაცები ოთხიდგან რვა თვემდის დატუსაღებით ისჯებიან, ან და ასიდგან ხუთას მანეთამდის ჯარიმა ხდებათ. ისჯებიან აგრეთვე ისინიც, ვინც იმისთანა უკანონო საზოგადოების არსებობა იცოდა, რომელსაც სახელმწიფო წესის შეცვლა არ ჰქონია მიზნათ, და არ შეატყობინა მთავრობას. ამათთვის დაწესებულ იყო ჯარიმა 5-დგან 50 მანეთამდის.

ეხლანდელი კანონი ერთის მხრით უფრო ვრცლად და გარკვევით განსაზღვრავს, თუ რა არის უკანონო საზოგადოება, და მეორეს მხრით უფრო მრავალ ხარისხოვან სასჯელსა სდებს ამ გვარს საზოგადოებაში მონაწილეობისათვის. 1867 წლის კანონს მხედველობაში ჰქონდა იმისთანა დაფარული საზოგადოებანი, რომელთაც მოქმედება მიქცეული იყო სახელმწიფო წყობილებსა დასამხობელად, ქრისტიანებრივი სარწმუნოების მოსასპობად, საზოგადოებრივის ან პიროვანის ზნეობის და სათნოების შესაგინებელად. ახალი კანონი ასახელებს ყველა იმ საზოგადოებასაც, რომელთაც მიზნათ დაუდევიათ მმართებლობის განკარგულებათა წინააღმდეგობა, ან მთავრობის ურჩება, ან საზოგადო ცხოვრების საფუძველთა დარღვევა: სარწმუნოებისა, ოჯახური კავშირისა და საკუთრებისა, ან სხვა და სხვა წოდებათა შორის, ან ხალხის ნაწილებს შორის, ან ალებს და მუშებს შუა მტრობის აღძრვა. ამასთანავე ახალს კანონს მიქცეული აქვს ყურადღება საზოგადოების მოქმედებაზედ და ამათგან ყველაზედ უფრო მძიმე დანაშაულობათ სთვლის: 1) თუ საზოგადოებამ თავის არსებობის დასაფარავად და მოქმედების გასავრცელებლად გაიყო რამდენიმე ნაწილად ან წრეებად და საერთო მმართველობა დაიწესა, ან თუ საზოგადოების წევრთა ვალად დაიდვეს ერთის ვისიმე, თუნდ მათგან გამორჩეულის მოთავის უარის-უთქმელი მორჩილება; 2) თუ პირველ მუხლში მოხსენებული საზოგადოებანი და იმათში მონაწილე პირნი ძალადობაზედ აგულიანებდნენ, ან ძალადობით აიძულებდნენ ვისმე, რომ ის ამ საზოგადოებას შესწეოდა.

რაც შეეხება სასჯელს, უწინდელი კანონი სდებს ყველა შეთქმულობისათვის კატორღას, ახალი კანონი კი აწესებს რამდენიმე ხარისხის სასჯელს, კატორღიდგან დაწყებული ციხეში დატუსაღებამდის.

— 1865-ში საფრანგეთში 4,800 სახალხო შკოლების ბიბლიოთეკა ყოფილა და ეხლა 15,600 ზედაც მეტია თურმე.

## თანამედროვე სურათი.

სახელ-განთქმული სამშობლოს მოღალატე, ბონაპარტის ნამარშლი ბაზენი გაქცეულა საპყრობილიდგან. ამ გარემოებას ბონაპარტის მომხრე გაზეთები და პარტიები დიდ მნიშვნელობას აძლევენ; მათ უხარიათ და იმედობენ, რომ „ბაზენი ძლიან სასარგებლო კაცი იქნება იმპერიის აღსადგენათ. ისეთი ნიჭიერი სარდალი, როგორც ბაზენი, ადვილათ დაიცავს ჩვენს საქმეს, და ამის შემდეგ რესპუბლიკელ პარტიას არ უნდა დაავიწყდეს, რომ ის ჩვენს ხელში ჩავარდება, თუ დღეს არა, ხვალ მაინც!“

ბონაპარტის მომხრე ბანდისათვის ამნაირი ტრაბახი და იმედოვნება სრულიად ახალი არ არის. ამ ბაქითა და ყვირილით იყო, რომ აშინებდენ ისინი ზოგიერთ ადვილათ მორწმუნე და მხდალ კაცებს, თორემ რამდენათაც ნამდვილი არის ყოველთვის მათი ანგარიშები, ეს თითონ ამ პარტიის თავმა კაცმა, ნაპოლეონ მესამემ, დაამტკიცა. ჯერ სტრასბურღში და ბულონში, სადაც ლუი ფილიპეს დროს რევოლუციის მოხდენა სურდა, და საკიცხავად შეაპყრობინა თავი პოლიციის სალდათებს, და უკანასკნელად მექსიკისა და პრუსიის ომში. ყველა ამ ადგილებზედ სახელოვანი კონსპირატორი-კარბონარი და მოიმედე დიპლომატი ლუი ნაპოლეონი მოსტყუვდა საზარლათ. საზოგადოებას ახსოვს, როგორის საბრალო დრამით დასრულდა მექსიკაში იმპერიის დაარსების სურვილი. ოთხი წლის გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, რესპუბლიკის დამცველებმა ნაპოლეონი აიძულეს, რომ იქიდგან ჯარი გამოეყვანა მექსიკის იმპერატორს მისი გვირგვინი და ტახტი თავზედ დაამსხვრიეს. უკანასკნელად მაქსიმილიანეც შეიპყრეს პატრიოტებმა და დახვრიტეს ვითარცა მომხდური ავაზაკი. ევროპის ხელმწიფეებმა სთხოვეს პრეზიდენტს, მაქსიმილიანეს პატივი, მაგრამ ხუარესმა სრულიად უგულებელს ჰყო ამდენი ვედრება. მან გამოაცხადა: „მაქსიმილიანე მოვიდა ჩემს ქვეყანაში, ვითარცა ავაზაკი, მან მოსპო ხალხის თავისუფლება, და გარდა ომის მარცხისა ექვსი ათასი მექსიკელი პატრიოტი დაახვრეტინა, როდესაც ისინი იცავდნენ თავის სამშობლოს თავისუფლება დესპოტისგან. მაშინ არავის მოგონებია მათი შველა როდესაც ეს ექვსი ათასი კეთილშობილური ახალგაზდა კაცები დახვრიტა და ჩამოახრჩო იმპერატორმა მაქსიმილიანემ: მაშ ეხლა რაღათ უნდა აღელდეს ევროპის კაცთ მოყვარეობის გრძნობა, რომ მექსიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხუარესმა იმპერატორი მაქსიმილიანე დახვრეტინოს? ნუ თუ ექვსი ათასი დახვრეტილი პატრიოტი ერთ კაცათ, მაქსიმილიანეთაც აღარ ღირდეს?!.“ ეს პასუხი მისცა ხუარესმა გაგულ-ჩვილებულ ევროპას. ამის შემდეგ მაქსიმილიანე დახვრიტეს და ნაპოლეონის ზნეობითი უფლება მაშინ დაეცა სამუდამოთ. მაგრამ ნივთიერად შემუსრა ის პრუსიის „რკინის გრაფმა“ ბისმარკმა წლის შემდეგ. პარტია, რომელიც ასე სხვილ-სხვილ საქმეებში სცდება ხოლმე, უნდა გავტყდეთ, იმის გონიერებაზედ და იმედზედ ჩვენ ყოველთვის ეჭვში ვართ.

ისე ეხლაც: ბონაპარტიელები დიდ სასოებას სდებენ ბაზენზედ და ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რომ ბაზენის შერცხვენილი და მოღალატობის სახელი ვერც ერთ თავმოყვარე სალდათს, ვერც ერთ კეთილშობილ ფრანცუზს ვერ შიიმხრობს. ალბათ იმპერიის პარტიას ავიწყდება, რომ თავლაფ-დასხმულ სახელ გატეხილ სარდალს, აღარა აქვს თილისმური გავლენა არცთავის ჯარზედ, არც მტერზედ. და ვინ იტყვის, რომ ბაზენს ამ ღირსების ცოტაოდენი ნაშთი ჰქონდეს დღეს?! ვინც სამშობლოს უღალატა, ვინც შთამომავლობის წინ შეარცხვინა ქვეყნის სახელი და პატივი, ვინც ხალხის თავისუფლება, დიდება გასცვალა ეგოისტურ, მცირე დინასტიურ და პირად ანგარიშებში, იმას აბა ვინღა ვაჰყვება, ვინ ენდობა კვლავ? საზოგადო განჩინებამ მოღალატობის დაღი დაასვა ბაზენს და ამ გვარად დაშვენებულმა კაცმა რომ ვისმეს სარგებლობა მოუტანოს, ერთობ და ერთობ საეჭვოა.

მეველე.

## ნარევი

— ერთი ინგლისური სატირული გაზეთი ამბობს ხუმრობით, რომ ბისმარკს ამას შემდეგ დამბაჩას აღარავინ ესვრისო, რადგანაც თვითონ იმისი სახელი, „ბის“ და „მარკისაგან“ შედგენილი ნიშნავსო: „ბის—ორჯერ,“ მარკი“—მიზანი.

— ბერლინში გამოუგონიათ მშრალი მელანი, რომელიც კარანდაშსავით იხმარება. ამ მელნით ნაწერი კარანდაშით ნაწერს ჰგავს, მაგრამ როგორც კი იმისაგან კოპიოს გარდაიღებთ, მაშინვე მშვენიერის მელნით ნაწერს დაემსგავსება თურმე.

— ჩრდილოეთის აფრიკაში ერთი უშველებელი ქვიშიანი უდაბნოა, რომელიც ეგვიპტიდგან დაწყებული ატლანტის ოკეანემდის მიდის და რომელიც სიგრძით თითქმის იმდენი იქნება რამდენიც აქიდგან საფრანგეთამდის არის. ამ ალაგას ძველად დიდი ზღვა ყოფილა, მაგრამ ზღვის ფსკერი ნელნელა ამაღლებულა, წყალი ოკეანში ან სხვა ზღვებში გადაქცეულა, დანარჩენი ტბები და ჭაობები სამხრეთის მცხუნვარე მზეს დაუშრია და ზღვის მაგიერ ეხლა საშინელს ქვიშიან უდაბნოს ვხედავთ. ეს უზარმაზარი ქვიშიანი უდაბნო მზისაგან ისე საშინელად ხურდება, ისე სულის შემხუთველია იმ უდაბნოდამ წამოსული ქარები, რომ არა თუ აფრიკის ჰავას, ევროპისასაც აფუჭებს. ეხლა ამ უდაბნოში უფ. ლესსეპსი ზღვის გაკეთებას აპირებს. ეს ის ლესსეპსია, რომელმაც ხმელთა-შუა ზღვა და წითელი (მეწამული) ზღვა არხით შეაერთა და ინდოეთის გზა ამით სანახევროდ შეუმოკლა ევროპიელებს. ზღვის გაკეთება უფ. ლესსეპსს იმისგამო უფიქრნია, რომ ერთ ალაგას უდაბნო ძლიერ ჩარღმავებულია თურმე, ასე რომ ხმელთა-შუა ზღვიდგან რომ არხი გააკეთოს კაცმა, ეს ჩარღმავებული ალაგი ზღვის-წყლით აივსება. ახალი ზღვა სიგრძით სამას ორმოცდა ათი ვერსი უნდა იქნეს და სიგანით ოცდა ათი, სიღრმით მარტო ოცი საჟენი. ეს ზღვა შესამჩნევად შესცვლის ჩრდილოეთის აფრიკის ჰავას და ევროპისაზედაც უთუოდ გავლენას იქონიებს.

— ერთს პარიჟელს სამეცნიერო ჟურნალს დაუბეჭდავს სტატია დოქტორის დეკლას ახალს ექიმობის წესზედ. დეკლა ამბობს, რომ რადგანაც ყოველივე ავათმყოფობა თვალით დაუნახველის ცოცხალის ნასახებისაგან, ან კვერცხებისაგან ჩნდებაო, ამიტომ ყოველი ავათმყოფობის მორჩენას ამ ნასახების, თუ კვერცხების მოკვლით უნდა ვსცდილობდეთო. დეკლა ფიქრობს, რომ კაცის ტყავს ქვეშ ისეთი რამ სიმჟავე უნდა შეისხას, რომელსაც ამ ნასახების მოკვლა შეეძლოსო. ამ წამლად ის არჩევს ერთს სიმჟავეს, რომელსაც ეხლა ცუდის სუნისა გასაქრობად და ჰაერის გასაწმენდად ხმარობენ და რომელსაც კარბოლის სიმჟავეს ეძახიან. ამ ახალს საექიმო სწავლას ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია პარიჟში, ასე რომ იმის გასავრცელებლად ახალი ჟურნალის დაფუძნებას აპირებენ.


## საყმაწვილო ბაღი

და მასთან

### პირველდაწყებითი შკოლა,

რომელიც მე მივიღე სიმონოვიჩისაგან, იქნება ამას იქით სოლოლაკზედ, კონსულის ქუჩაზედ, იმ სახლების ზემო ეტაჟში, რომელიც ეხლა მირზოევის არის და წინათ პრიჟანოვსკისას ეკუთვნოდა.

სასწავლებელი პროგრამმა და შკოლაში ყმაწვილების მიღების პირობები ისევ ის არის, რაც წინათ იყო.

1) საყმაწვილო ბაღსა და შკოლაში მიიღებიან ორივე სქესის ყმაწვილები თერთმეტი წლოვანობის შესრულებამდის.

2) საყმაწვილო ბაღში მიიღებიან ყმაწვილები შვიდ წლოვანობამდის; სწავლება არის 10-დგან 2 საათამდის.

3) საყმაწვილო ბაღში მოსწავლეთათვის იხდიან თვეობით 4 მანეთს; ამას გარდა მიღების დროს უნდა შეიტანონ მასალებისათვის 1 მანეთი.

4) ფული უნდა გარდიხადონ ყოველის თვის პირველს რიცხვს წინდაწინ; ყმაწვილები, რომელნიც სამის კვირის განმავალობაში ბაღში არ ყოფილან, გამოსულად შეირიცხებიან და მეორეჯერ ბაღში მიღების დროს მასალებისათვის ხელახლად 1 მანეთს იხდიან.

5) შკოლა ამზადებს ყმაწვილებს ყველა სახაზინო სასწავლებლებში შესასვლელად: სამხედრო და სამოქალაქო გიმნაზიაში, საქალებო ინსტიტუტში, წმ. ნინოს სასწავლებელში და მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის კნეინის ოლღა თეოდორეს ასულის საქალებო გიმნაზიაში.

6) შკოლა გაყოფილია ორ კლასსად, რომელთაგან პირველი ორის განყოფილებისაგან შესდგება. პირველს განყოფილებაში მიიღებიან შვიდის წლის ყმაწვილები უეგზამენოდ; მეორე განყოფილებაში შესასვლელად საჭიროა „Родное Слово“-ს პირველის ნაწილის ცოდნა და 20-დის ანგარიში ზრუბეს მეთოდით.

7) შკოლაში სასწავლებელი საგნები არიან შემდეგნი: საღმრთო კანონები მართლმადიდებელისა და სომეხთ სარწმუნოებისა; ენები: რუსული, სომხური (სომეხთათვის), ფრანცუზული და გერმანიული (ნემეცური), არითმეტიკა, ჩვენებითი სწავლება, გეოგრაფია, წერა, ხატვა და ხელსაქმე.

8) სწავლა არის შკოლაში 1 სეკტემბრიდგან 1 ივნისამდის, ყოველ დღე კვირასა და დღესასწაულებს გარდა, 9-დგან 2 საათამდის.

9) თითოეულ ყმაწვილზედ ყოველ წლივ დაწესებულია 60 მანეთი გარდასახადი. ამ ფულის შესატანად დანიშნულია ორი ვადა: ნახევარი, ესე იგი 30 მანეთი, უნდა შეიტანონ ყმაწვილის შკოლაში მიღების დროს და მეორე ნახევარი (30 მან.) 15 იანვარს. დედმამა, რომელთაც შკოლაში 2 ყმაწვილზედ მეტი მიუციათ, იხდიან პირველისათვის 60 მანეთს, მეორესთვის-50 მანეთს და მესამისა და შემდეგებისათვის თითოეულზედ 40 მან.

10) პირველს კლასში შესვლის დროს 3 მანეთი უნდა გარდაიხადონ, და მეორეში-5 მანეთი სასწავლებელი ნივთების სასყიდლად.

ყმაწვილები მიიღებიან შკოლაში 20 აგვისტოდგან 1 სეკტემბრამდის, 10-დგან 2 საათამდის, ეხლანდელს ჩემს სადგომზედ თავადის ნიკოლოზ თუმანოვის სახლებში, გუბერნიის სამმართველოს პირდაპირ და 1 სეკტემბრიდგან 15-დის ზემო ხსენებულს სადგომზედ, მირზოევის სახლებში.

საყმაწვილო ბაღში ყმაწვილების მიღება შეიძლება 20 აგვისტოდგან ყოველთვის მთელის სასწავლებლო წლის განმავალობაში.

ე. ჟაბა.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Августа 1874 г. Типографія Меликова и К°.* გამომცემნი: ს. მელიქოვი და ს. მესხი.—დროებითი რედაქტორი კ. ლორთქიფანიძე